

რას შეცვლის ახალი კანონი მიკრო ბანკების შესახებ საქართველოს ფინანსურ ბაზარზე

მაღსაზ ძაძუა

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ფინანსების მაგისტრი, ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლა
malkhaz.dzadzua@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: მიკროფინანსები; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; მიკრო ბანკი; მიკრო სესხი; ფინანსური მომსახურება.

J.E.L. classification: G230, K20

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.11>

ციტირებისთვის: ძაძუა მ., (2022) რას შეცვლის ახალი კანონი მიკრო ბანკების შესახებ საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 32–40. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.11>

ანოტაცია. ნახევარ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე რეგულარულად სარგებლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების (მისო) მომსახურებით, განსაკუთრებით რეგიონებში. 2022 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც 2023 წელს ბაზარზე შემოდის სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ახალი ფინანსური ინსტიტუტი - მიკრო ბანკი. სტატიაში მიმოხილულია საქართველოს დღევანდელი მიკროსაფინანსო გარემო და გაანალიზებულია, თუ რა მოსალოდნელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მიკრო ბანკების შემოსვლას ფინანსურ ბაზარზე.

შესავალი

მიკროფინანსები წარმოადგენს ფინანსური მომსახურების მიწოდებას დაბალი შემოსავლების მქონე პირებისთვის. კლასიკური განსაზღვრებით იგი ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას,

შემოსავლების გენერირების ზრდას, ფინანსური თვითუზრუნველყოფის გაძლიერებასა და ცხოვრების საერთო სტანდარტების ამაღლებას.

მიკროფინანსების მომხმარებელთა უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობებსა და არაფორმალურ ბიზნესში დასაქმებული ან თვითდასაქმებული ფიზიკური პირებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას შეზღუდულ გეოგრაფიულ არეალსა და ეკონომიკის ლიმიტირებულ სექტორებში ახორციელებენ (Basel Committee on Banking Supervision, 2010:9).

1976 წელს ბანგლადეშში პროფესორ მოჰამედ იუნუსის მიერ შექმნილი ჯგუფური სესხების პროგრამა და მის საფუძველზე დაარსებული “გრამინ ბანკი” ითვლება პირველ თანამედროვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციად მსოფლიოში.

ჯგუფური საგარანტიო პრინციპის გამოყენებამ, მოქნილმა დაკრედიტების პირობებმა, ნაკლებმა ბიუროკრატია და გამარტივებულმა პროცედურებმა საშუალება მისცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სწრაფად გაზრდილიყვნენ ბაზარზე და მოეცვათ დაბალშემოსავლიან მსესხებელთა ის სეგმენტი, რომელსაც მაღალი რისკების გამო ბანკები უარს ეუბნებოდნენ დაფინანსებაზე.

დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ემსახურებიან 156 მილიონამდე მსესხებელს და მართავენ 187

მილიარდი დოლარის საკრედიტო პორტფელს (Impact Finance Barometer, 2022: 3).

მიკროდაფინანსების უმსხვილესი რეგიონებია ლათინური ამერიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, რომლებზეც მოდის მთლიანი მიკროსაკრედიტო პორტფელის 85% და მსესხებლების 92%. მიკროსესხის საშუალო ზომა კი შეადგენს 900 აშშ დოლარს (Microfinance Barometer, 2019: 3).

საქართველოში მიკროსაფინანსო ბაზრის ფორმირება გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაიწყო და ძირითადად იგივე სცენარით ვითარდებოდა, როგორც ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი დღეს

დღეისათვის დაახლოებით ნახევარ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე რეგულარულად სარგებლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებით, როგორცაა: სესხები 100,000 ლარამდე, ფულადი გზავნილები, ვალუტის გაცვლა, კომუნალური გადახდების სერვისი, საყოფაცხოვრებო ნივთების განვადებით შეძენა, სალომბარდე მომსახურება და ა.შ.

მისო-ების მომხმარებელთა უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობები და არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ან თვითდასაქმებული ფიზიკური პირებია, რომლებიც თავიანთ საქმიანობას მცირე მასშტაბის სოფლის მეურნეობის, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებში აწარმოებენ.

ტრადიციულად, მიკროფინანსებზე მოთხოვნა

განსაკუთრებით მაღალია რეგიონებსა და სასოფლო დასახლებებში. ეს უმთავრესად განპირობებულია იმით, რომ ბანკების მხრიდან ადრეულ ეტაპზე ნაკლებად ხდებოდა ამ მაღალრისკიანი სეგმენტის აქტიური მოცვა. შესაბამისად, აღნიშნულ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება მისოებისთვის შედარებით ადვილი აღმოჩნდა.

2006 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონის მიღებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში ფიქსირდება სექტორის სწრაფი ზრდა და განვითარება, რაც 2017 წლიდან იცვლება უარყოფითი ტენდენციით და ბაზრის შემცირების დინამიკით.


საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ანგარიშების მიხედვით, 2006-2016 წლებში 15-დან 80-მდე გაიზარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა, 21-დან 430-მდე მათი ფილიალები და სერვის ცენტრები, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 5,900-ს.

2017 წლიდან კი დგება საკმაოდ რთული და კრიზისული პერიოდი სექტორში. კერძოდ, 2017-2021 წლებში 80-დან 38-მდე შემცირდა ორგანიზაციების საერთო რაოდენობა. 385-მდე დაიკლო ფილიალების, ხოლო 4,041-მდე დასაქმებულთა რაოდენობამ (31%-იანი კლება).

1-ლი ნახაზი ასახავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ზრდის დინამიკას მთლიანი აქტივების, გაცემული სესხებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით 2007-2021 წლებში.

ნახაზი 1

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური მაჩვენებლები (ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge

საყურადღებოა, რომ 2017-2019 წლებში მკვეთრად (32%-ით) შემცირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები. იმავე პერიოდში კი გაზრდილია კომერციული ბანკების (36%-ით) და სადაზღვევო კომპანიების (47%-ით) აქტივები. ანუ კრიზისი უშუალოდ მისოებს შეეხო და არა მთლიანად საფინანსო სექტორს.

მნიშვნელოვნად შემცირდა სექტორის მომგებიანობაც: 2014-2019 წლებში კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი (ROE) დაეცა 29.5%-დან 0.02%-მდე, ხოლო აქტივების უკუგება (ROA) კი 7.2%-დან 0.01%-მდე.

აღნიშნული კრიზისის გამომწვევ მთავარ მიზეზებს შორის შეიძლება გამოვყოთ: გამკაცრებული რეგულაციები, მიზნობრივი ბაზრის გაჯერება, მზარდი კონკურენცია კომერციული ბანკების მხრიდან, ჭარბვალიანობა, სუსტი კორპორაციული მმართველობა და ა.შ.

განსაკუთრებული გავლენა სექტორზე იქონია 2016 წლიდან ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციებმა. მათ შორის აღსანიშნავია:

- საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარის დაწესება. პირველ ეტაპზე 100%-ის, ხოლო 2019 წლიდან 50%-ის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ არც 50% არის დაბალი განაკვეთი, ეს შეზღუდვა რთულად შესასრულებელი აღმოჩნდა მთელი რიგი მისოებისთვის, განსაკუთრებით, ძვირიან ონლაინ სესხებზე ორიენტირებული კომპანიებისთვის.

- გაზრდილი საწესდებო კაპიტალი. პირველ ეტაპზე ეს მოთხოვნა გაიზარდა 250,000-დან 500,000 ლარამდე, 2018 წლიდან კი 1,000,000 ლარამდე. განსაკუთრებით რთულად შესასრულებელი აღმოჩნდა ეს მცირე ზომის და კერძო პირების მიერ დაფუძნებული მისოებისთვის.

- სესხის გაცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. დედოლარიზაციის ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია ფიზიკური პირებისთვის 100,000 ლარამდე სესხის დაშვება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. 2019 წლიდან კი ეს ლიმიტი 200,000

ლარამდე გაიზარდა.

აღსანიშნავია სხვა ცვლილებებიც: საზედამხედველო კოეფიციენტების შემოღება; ჯარიმებისა და საკომისიოს ლიმიტირება; პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის დამკვიდრება, ანგარიშგების სტანდარტის დახვეწა; ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პროცედურები (AML) და ა.შ.

ამ ცვლილებებმა საგრძნობლად გაართულა მისოების მართვის პროცესი, მოითხოვა დამატებითი კვალიფიციური საკადრო რესურსი, მნიშვნელოვანი ინვესტიციები აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემაში, რისკების მართვის გაუმჯობესება და ა.შ. ასეთი ცვლილებებისთვის კი მისოების დიდ ნაწილს არ აღმოაჩნდა სათანადო მზადყოფნა და რესურსი.

ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით 2022 წლის მესამე კვარტლისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სულ გაცემული აქვთ 1.5 მილიარდი ლარის კრედიტები (რაოდენობრივად 810 ათასი). მათგან ყველაზე მეტია სალომბარდე სესხი (პორტფელის 51% და რაოდენობის 73%), რასაც მოსდევს სამომხმარებლო სესხი (პორტფელის 25% და რაოდენობის 10%). ეკონომიკის პროდუქტიულ დარგებში კი, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და მომსახურეობა, მისოებს მხოლოდ 19% აქვთ დაბანდებული (რაოდენობრივად - 6%), რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მისოები არ არიან მიკროსაფინანსო სერვისის ერთადერთი მიმწოდებლები ბაზარზე. ამ სეგმენტზე უკვე აქტიურად არიან წარმოდგენილი კომერციული ბანკები, რაც განსაკუთრებულად ამდაფრებს კონკურენტულ ბრძოლას.

კომერციული ბანკების უპირატესობა გამოიხატება დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, განვითარებული სისტემებით, პროდუქტების ნაირსახეობით და იაფი რესურსებით. თავის მხრივ კი ბაზარზე მორგებული ბიზნეს მოდელით, გამარტივებული პროცესებით, ნაკლები ბიუროკრატიითა და მეტი მოქნილობით მისოების საკმაო კონკურენციას უწევენ ბანკებს.

განსაკუთრებით სასოფლო დასახლებებსა და 10,000 ლარამდე სესხების სეგმენტზე.

მიკრო ბანკების შესახებ ახალი კანონი და მოსალოდნელი ეფექტი

2022 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც 2023 წლიდან ბაზარზე შემოდის ახალი, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ფინანსური ინსტიტუტი - მიკრო ბანკი.

კანონპროექტი მომზადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელმაც სტრუქტურული ცვლილებებისთვის სწორედ ამ ახალი ინსტიტუციური ფორმის შემოღება ურჩია ეროვნულ ბანკს (International Monetary Fund, 2020: 19).

მიკრო ბანკის სახით შეიქმნება ისეთი სახის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისა და რეალური ეკონომიკის დარგების დაკრედიტებას განახორციელებს იმ სექტორში, სადაც მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო კომერციული ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია.

დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ მიჯნავს ე.წ. „კლასიკურ“, ანუ მცირე მეწარმეობასა და სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე ორიენტირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს „სამომხმარებლო“ და „სალომბარდე“ ტიპის საკრედიტო დაწესებულებებისგან. ეს ფაქტობრივად ორი განსხვავებული ბიზნეს მოდელია და მათი მოქცევა რეგულირების ერთიან ჩარჩოში ნაკლებად ეფექტურია. აღნიშნული, ასევე ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ბევრი ინვესტორისთვის ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარდა ამისა, ლარის რესურსზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო მისო-ებს უწევთ დიდი ოდენობით უცხო ვალუტაში მოზიდული სახსრების ჰეჯირება. ეს ზრდის

მათ ფინანსურ ხარჯებს და აქედან გამომდინარე პროდუქტის ფასსაც კლიენტისთვის, რაც ბანკებთან მიმართებით მისო-ებს არაკონკურენტ მდგომარეობაში აყენებს.

დღევანდელი კანონმდებლობით მისოები ასევე ვერ აწვდიან მომხმარებელს ისეთ საბაზისო პროდუქტებს, როგორცაა დეპოზიტები, ანგარიშების გახსნა და მისი მომსახურება. ეს ზღუდავს როგორც კლიენტების ფინანსურ ჩართულობას (განსაკუთრებით რეგიონებში), ასევე დამატებითი არასაპროცენტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობას მისო-ებისთვის, რაც საბოლოოდ ისევ გაძვირებული კრედიტის ფასში ისახება.

სწორედ აღნიშნული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტის, პოტენციური რისკების შემცირებისა და ფინანსური ჩართულობის გაზრდის მიზნით იქმნება ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ახალი ფინანსური ინსტიტუტი - მიკრო ბანკი.

კანონპროექტის მიხედვით მიკრო ბანკი წარმოდგენილია როგორც საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც უმთავრესად სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტებაზე იქნება ორიენტირებული.

კანონმდებელი იმედოვნებს, რომ მიკრო ბანკების შექმნა გაზრდის კონკურენციას ბაზარზე და გამოიწვევს საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო განაკვეთების ეტაპობრივ შემცირებას; გაუმჯობესდება კრედიტების ხელმისაწვდომობა და ფინანსური ჩართულობა; მოიმატებს დაინტერესება საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან; მეტი მცირე ბიზნესის დაკრედიტების შედეგად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ა.შ.

შესაბამისად, ახალი კანონის დანერგვის შედეგად საქართველოს საკრედიტო-საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილი იქნება 4 ტიპის ფინანსური ინსტიტუტი: კომერციული ბანკები, მიკრო ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები.

მიკრო ბანკების საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება და ზედამხედველობა განხორციელდება კომერციულ ბანკებთან მიახლოებული რეგულირების ჩარჩოთი და სალიცენზიო მოთხოვნებით მკაფიოდ განსაზღვრული ნებადართული საქმიანობების საფუძველზე.

კანონპროექტის მიხედვით ძირითადი განსხვავება მიკრო ბანკსა და არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის მდგომარეობს შემდეგში:

- მიკრო ბანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70 პროცენტი უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან და/ან იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამასთან, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მსესხებლის ჯამური შემოსავლის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი უნდა იყოს (მუხლი 3.1). სწორედ აღნიშნული კრიტერიუმი ადგენს უმთავრეს სხვაობას მიკრო ბანკებს, როგორც სამეწარმეო დაკრედიტების ხელშემწყობ „კლასიკურ“ მიკროსაფინანსო ინსტიტუტსა და სამომხმარებლო-სალომბარდე ტიპის ორგანიზაციებს შორის.

- 3.3.ბ. მუხლის მიხედვით მიკრო ბანკს უფლება ენიჭება მოიზიდოს დეპოზიტები (როგორც მოთხოვნამდე, ასევე ვადიანი) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრის ფარგლებში. ასევე ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვით. ასევე სხვა დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვა, მათ შორის ფიზიკური პირებისაგან

- ფიზიკური პირისგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისგან) დაბრუნებადი ფულადი სახსრების მოზიდვის შემთხვევაში, თითოეული პირისაგან მიღებული სახსრების ოდენობა არ უნდა იყოს 100,000 (ასი ათას) ლარზე ან უცხოური ვალუტით მის ეკვივალენტზე

ნაკლები (მუხლი 3.6).

- მიკრო ბანკებს ენიჭებათ ეროვნულ ბანკში საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნის და მომსახურების უფლება (მუხლი 3.3.გ). ამით იზრდება მათი პირდაპირი წვდომა მონეტარულ ინსტრუმენტებზე, რაც გააიოლებს ლარის რესურსების მოზიდვას და შეამცირებს ჰეჯირების ხარჯებს. ეს გარემოება კი, არასაპროცენტო შემოსავლების ზრდასთან ერთად, გავლენას მოახდენს საკრედიტო პროდუქტების საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე.

- ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,000,000 ლარს (მუხლი 22.1.გ). ამასთან, სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში (მუხლი 3.4).

თუ მიკრო ბანკის მთლიანი აქტივები გადააჭარბებს საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივების 2%-ს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მიკრო ბანკს მოსთხოვოს აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში დაბრუნების გეგმა ან განუსაზღვროს დამატებითი და/ან განსხვავებული საზედამხედველო მოთხოვნები.

36-ე გარდამავალი დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მიკრო ბანკის საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადის წარდგენისას, მათი მიმდინარე საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50% უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან და/ან სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

მიკრო ბანკებზე გავრცელდება დაბეგვრის იგივე რეჟიმი, რომელიც ამჟამად მოქმედებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ. ამასთან, წესდება სალიცენზიო მოსაკრებელი 100 000 ლარის ოდენობით.

კანონის 2023 წლის იანვრიდან ამოქმედების შემთხვევაში, დღეისათვის მოქმედი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან (38) სავარაუდოდ მხოლოდ 3–4 მათგანი შეძლებს მიკრო ბანკის ლიცენზირების კრიტერიუმების სრულად დაკმაყოფილებას. მათ შორის უმთავრესია ორი მათგანი: (1) ათი მილიონი ლარის საწესდებო კაპიტალის ქონა; (2) საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 50%-ის სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემულ სესხებში დაბანდება.

თავად მიკრო ბანკებს, არსებულ მისო-ებთან შედარებით, ახალი მარეგულირებელი ჩარჩო შემდეგ უპირატესობას მისცემს:

- ერთ მსესხებელზე გასაცემი სესხის მაქსიმალური მოცულობა იზრდება 100,000-დან 1 მილიონ ლარამდე, რაც მიკრო ბანკებს საშუალებას აძლევს აქტიურად შევიდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების სეგმენტზე, შეინარჩუნონ კარგი მსესხებლები, უფრო სწრაფად გაზარდონ პორტფელი და მეტი კონკურენცია გაუწიონ ბანკებს.

- ფიზიკური პირებისგან დეპოზიტების მიღების უფლებით მიკრო ბანკებს საშუალება ექნებათ მოახდინონ დაფინანსების წყაროების უკეთესი დივერსიფიცირება, გააიფონ ლარის რესურსი (ჰეჯირების ხარჯის ეკონომიის საფუძველზე) და შესაბამისად შეამცირონ სესხის საპროცენტო განაკვეთიც კლიენტისთვის, რაც ასევე გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას ბანკებთან მიმართებით.

- კლიენტებისთვის ანგარიშების გახსნისა და მართვის მომსახურების შეთავაზებით, მიკრო ბანკებს შეეძლებათ ფაქტობრივად სრული საბანკო სერვისის მიწოდება მომხმარებლისთვის. ეს ერთი მხრივ, გაზრდის სტანდარტებისა და ხარისხის მოთხოვნას თავად მათი სერვისის მიმართ, მეორეს მხრივ კი პრატიკულად თანაბარ კონკურენტულ გარემოში ამყოფებს კომერციულ ბანკებთან მიმართებით, ხოლო გაცილებით უპირატეს მდგომარეობაში - მისო-ების მიმართ.

- „სამომხმარებლო“ და „ლომბარდული“ ტიპის მისო-ებისგან გამიჯნვა და მეწარმეობის დაკრედიტებაზე ორიენტირებული სამართლებრივი სტატუსი მიკრო ბანკებს

საშუალებას მისცემს მოიზიდონ მეტი ინვესტიცია პასუხისმგებლიანი და რეპუტაციული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან.

ამასთან, ახალი კანონპროექტის განხორციელება შეიცავს გარკვეულ რისკებსაც, რაც სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული და გაანალიზებული.

- სესხის ლიმიტის 100 ათასიდან 1 მილიონამდე გაზრდა რატემაუნდა დადებითი მოვლენაა პორტფელის ზრდისთვის. თუმცა, მისო-ების უმეტესობას არ გააჩნია საკმარისი გამოცდილება, კვალიფიკაცია და სისტემები, რომ სათანადოდ შეაფასოს და მართოს აღნიშნული სეგმენტის რისკები. წარსულის გამოცდილებაც ადასტურებს, რომ მისოების პორტფელში ყველაზე ცუდი ხარისხის და პრობლემურ სესხებს სწორედ მაღალი (10,000 ლარზე მეტი) ზომის სესხები შეადგენენ.

გარკვეულ სირთულეებს შეიცავს კანონის 3.1. მუხლის ადმინისტრირება, რომლის მიხედვითაც მიკრო ბანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70% უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან. დღეის მდგომარეობით საეჭვოა რომელიმე მისო სრულად აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმს. გარდა ამისა, მისოების უმეტესობას არ გააჩნია სათანადო დონეზე განვითარებული კლიენტის სწორად იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის სისტემები, რაც ადგილს ტოვებს მონაცემებით მანიპულირებისა და ინტერპრეტაციებისთვის.

- ახალი პროდუქტების დამატება (დეპოზიტები, ანგარიშების მართვა) თავის მხრივ მოითხოვს გამართული, პროფესიული, მაღალი ხარისხის აღრიცხვის სისტემებისა და ავტომატიზაციის დანერგვას. კომერციული ბანკის მომხმარებელთა უმეტესობა დისტანციურად მართავს საბანკო ანგარიშებს და სავარაუდოდ იგივე მოლოდინი და მოთხოვნა იქნება მიკრო ბანკების მიმართაც. შესაბამისად, მიკრო ბანკებს მოუწევთ დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება ამ ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რასაც შეიძლება რამდენიმე წელიწადი და დიდი

დანახარჯების გაღება დაჭირდეს.

- მიკრო ბანკების სახით მეწარმეობის დაფინანსებაზე ორიენტირებული (და უფრო განვითარებული) ინსტიტუტების ცალკე გამოყოფით, პრაქტიკულად მხოლოდ სამომხმარებლო-სალომბარდე ტიპის მისოები დარჩებიან ამ სტატუსით, რაც დამატებით რისკებს გამოიწვევს ბაზარზე.

დასკვნა

კანონპროექტი სავარაუდოდ ზოგად პოზიტიურ გავლენას მოახდენს ქვეყნის საფინანსო სექტორზე და მთლიანად ეკონომიკაზე, თუმცა მის განხორციელებას ასევე თან ახლავს გარკვეული რისკები და საფრთხეები.

ძირითად მოსალოდნელ ეფექტებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- გაიზრდება ჯანსაღი კონკურენცია საბანკო-საფინანსო სექტორში, რაც გამოიწვევს უკეთესი ხარისხისა და მრავალფეროვანი ფინანსური მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისთვის.

- მიკრო ბანკების მხრიდან ლარის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გამოიწვევს მათი ფინანსური ხარჯების შემცირებას, რაც საბოლოოდ აისახება მომხმარებლისთვის საპროცენტო განაკვეთის კლებაში და კონკურენტული პროდუქტების შეთავაზებაში.

- გაიზრდება ინვესტიციები, რაც გამოიწვევს ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და ბიზნეს აქტივების ზრდას.

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ექნება მეტი ფინანსური მხარდაჭერა, რაც გამოიწვევს მათ მომგებიანობის ზრდას და მეტი ადამიანის დასაქმებას, განსაკუთრებით რეგიონებში.

- გაუმჯობესდება ხელმისაწვდომობა საბანკო პროდუქტებზე და გაიზრდება მოსახლეობის ფინანსური ჩართულობა.

- პირველ მიკრო ბანკებს სავარაუდოდ დაჭირდებათ დრო (3-2 წელი), რათა ორგანიზაციულად კარგად მოემზადონ

ამ ცვლილებებისთვის. უნდა მომზადდეს დაკრედიტების ახალი მეთოდოლოგია და საკადრო რესურსი 100,000 ლარზე მეტი სესხებისთვის; შეიქმნას დეპოზიტების მოზიდვისა და მართვის ბიზნეს მოდელი; დაიხვეწოს მონაცემთა აღრიცხვა-მართვისა და ინტერნეტ ბანკინგის სისტემები, გაუმჯობესდეს კორპორაციული მართვის სტანდარტები და ა.შ.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. URL:www.nbg.gov.ge
2. საქართველოს პარლამენტი. კანონპროექტი 10/167/2-07 „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ URL: <https://parliament.ge/legislation/24469> (ხელმისაწვდომია 11.11.2022)
3. Basel Committee on Banking Supervision. Microfinance activities and the Core Principles for Effective Banking Supervision. Basel, Switzerland. 2020, გვ. 9. URL:www.bis.org/publ/bcbcs175.pdf (ხელმისაწვდომია 11.11.2022)
4. Impact Finance Barometer. Convergences. Paris, France. 2022, გვ. URL:www.convergences.org/en/bfi-2022-en/ (ხელმისაწვდომია 11.11.2022)
5. International Monetary Fund. Georgia Technical Assistance Report 20/273. Washington D.C. 2020, გვ. 19. URL:<https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2022/05/27/Georgia-Technical-Assistance-Report-Updating-the-Balance-Sheet-and-Quantifying-Fiscal-Risks-518383> (ხელმისაწვდომია 11.11.2022)
6. Microfinance Barometer. Convergences. Paris, France. 2019. გვ. 3. URL:www.convergences.org/wp-content/uploads/2019/09/Microfinance-Barometer-2019_web-1.pdf (ხელმისაწვდომია 11.11.2022)